სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 20 00370069

11/05/2020

შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2020 წლის 5 მაისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს საქართველოს უნივერსიტეტის №03-3358 კორესპონდენციით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №347057) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №36 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება „ფსიოლოგიის“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის ერთი წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2020 წლის 5 მაისს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს საქართველოს უნივერსიტეტის 2020 წლის 24 აპრილის №03-3358 (ცენტრში რეგისტრაციის №347057) სააპელაციო საჩივარი.

2. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 08 მაისის MES 4 20 00366071 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით